

**დაფინანსებული ორგანიზაციების მიერ პროექტების განხორციელების შესახებ წარმოდგენილი
საბოლოო ანგარიშები
ნაწილი II**

I-009

ორგანიზაცია: კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

პროექტი: აგორა

საგრანტო კონკურსის ფარგლებში ააიპ „კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ განხორციელებული პროექტი შეიძლება დავყოთ სამ ძირითად ეტაპად.

საწყის ეტაპზე პროექტის ორგანიზატორებმა შეაგროვეს და დაამუშავეს მერაბ მამარდაშვილის და აკაკი ბაქრაძის ტექსტები, რომლებიც შემდეგ დახარისხდათემების მიხედვით. შემუშავდა საზაფხულო სკოლის საკონკურსო განაცხადის ფორმა, სკოლის პროგრამა და განრიგი.

პროექტის ფარგლებში გამოცხადდა კონკურსი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა სტუდენტებმა შეავსეს სპეციალური განაცხადის ფორმა, რომლის საფუძველზეც პროექტის კოორდინატორებმა თითოეული უნივერსიტეტიდან შეარჩიეს სამი მონაწილე. გარკვეულ სირთულეებს წავაწყდით გორის და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტებში საზაფხულო სკოლის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით. საჭირო გახდა რექტორატთან დაკავშირება, რათა უნივერსიტეტი თავად დაგვხმარებოდა მონაწილეობის მსურველთა სიის მოწოდებაში.

მეორე ეტაპს უშუალოდ საზაფხულო სკოლა წარმოადგენდა, რომელიც გაიმართა ბაკურიანში (11-15 სექტემბერს).

საზაფხულო სკოლის ფარგლებში ლექციებს, დისკუსიებს და სამუშაო შეხვედრებს უძღვებოდნენ პროექტის კოორდინატორები და მოწვეული პროფესორები - ლაშა ბაქრაძე, ლევან გიგინეიშვილი, ემზარ ჯგერენაია.

საზაფხულო სკოლის დასკვნით ეტაპზე, თითოეული უნივერსიტეტის მონაწილეები შეთანხმდნენ კონკრეტულთემებზე და კოორდინატორის დახმარებით დაგეგმეს თავიანთ უნივერსიტეტში აღნიშნულ თემაზე სამოქალაქო დისკუსიის გამართვა, რომელზეც სტუდენტები საზაფხულო სკოლის დასრულებიდან თითქმის ორი თვის განმავლობაში კოორდინატორებთან ერთად მუშაობდნენ.

პროექტის დასკვნით ეტაპზე კი თითოეულმა ჯგუფმა გამართა დისკუსია თავის უნივერსიტეტში, რომელსაც დაესწრნენ პროექტის კოორდინატორები და სხვა სტუდენტები. იყო სირთულეებიც : გორის უნივერსიტეტში პროექტის მონაწილეებს ძალიან გაუჭირდათ დისკუსიისათვის დამსწრე საზოგადოების შეგროვება, რის გამოც „კითხვისი გამავრცელებელი საზოგადოება“ გორში რამდენჯერმე ჩავიდა.

თითოეულ უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიება იყო საკმაოდ საინტერესო, მონაწილეებს გაუჩნდათ იდეები კლუბების დაარსებასა და ჩვენ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შესახებ.

ბოლო ღონისძიება გაიმართა დეკემბრის დასაწყისში, როდესაც პროექტის თითქმის ყველა მონაწილე შეიკრიბა თბილისში. გავითვალისწინეთ მათი თხოვნა და დასკვნით შეხვედრაზე მამარდაშვილის შესახებ ლექცია წაიკითხა ზაზა ფირალიშვილმა. აღნიშნულ დღეს შევაფასეთ განხორციელებული პროექტი, გაწეული სამუშაო და დავსახეთ სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

საბოლოო ჯამში პროექტის ფარგლებში დასახული ყველა მიზანი მიღწეულ იქნა.

- პროექტის ყველა ეტაპზე პროექტის ყველა მონაწილე აქტიურად იყო ჩართული დისკუსიებში.
- პროექტის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები მ. მამარდაშვილის და ა. ბაქრაძის შესახებ და გაეცნენ მათ ნაშრომებს.
- პროექტის მონაწილეებმა შეიძინეს დისკუსიის დაგეგმვისა და წარმართვის გამოცდილება.
- პროექტის მონაწილეებს აქვთ მომავალში მსგავსი დისკუსიების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და წარმართვის ინტერესი, მოტივაცია და თავდაჯერებულობა.
- პროექტის ფარგლებში გამართული დისკუსიებში სხვა სტუდენტებიც იყვნენ ჩართულნი.
- პროექტის მონაწილე რამდენიმე უნივერსიტეტში გადაწყდა კინო კლუბის გაკეთება.
- პროექტის მონაწილე თბილისისა და რეგიონის უნივერსიტეტებს შორის დამყარდა საკმაოდ მჭიდრო კავშირი. მონაწილეებს გაუჩნდათერთობლივი პროექტების განხორციელების იდეები.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, პროექტის დასკვნით შეხვედრაზე მონაწილეებს ვთხოვეთ პროექტის შეფასება 1-დან 5 ბალიან შკლაზე (1 ძალიან ცუდი, 5 ძალიან კარგი). პროექტის მონაწილე სტუდენტებმა განსაკუთრებით დადებითად შეაფასეს მისი შინაარსი და ორგანიზება.

ყველა მონაწილემ აღნიშნა, რომ მიღებული გამოცდილება გამოადგება მომავალში და მეგობარსაც ურჩევდა ამ ორგანიზაციის მსგავს პროექტში მონაწილეობას.

ასევე დავინტერესდით რა იყო პროექტის მონაწილეთათვის ყველაზე საინტერესო. ისინი წერდნენ, რომ განსაკუთრებით საინტერესო იყო 90-იან წლებზე მსჯელობა, ლექციები და დამოუკიდებლად დისკუსიების ორგანიზების პროცესი. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ პროექტის შედეგად მიღეს ცოდნა და გამოცდილება, გაიცნეს ადამიანები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რომლებთანაც მომავალშიც ისურვებდნენ თანამშრომლობას.

I-010

ორგანიზაცია: სათემო კავშირი „იმედი“

პროექტი: თვითმმართველობა- ეს ჩვენ ვართ

ბატონო ავთანდილ პროექტის შესახებ მოხსენებითი ბარათის სახით გთავაზობთ სათემო კავშირ „იმედის“ სტატიის ამონარიდს გაზეთ „ალიონში“ განთავსებული სტატიიდან მცირედი კორექტირებით:

ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. აადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის....

თვითმმართველობა -ეს ჩვენ ვართ -აცხადებს სოფელ თხინვალში მოქმედი სათემო კავშირი `იმედი,~ იზიარებს ილიას ნააზრევს `მგზავრის წერილებიდან~ და საზოგა- დოებრივი სათათბიროს ჩამოყალიბებით დღევანდელ რეალობაში დეცენტრალიზაციის განხორციელების საკუთარ მოდელს გვთავაზობს:

მოგახსენებთ, რომ გურიის რეგიონის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალში განხორციელდა პროექტი `თვითმმართველობა_ეს ჩვენ ვართ`. პროექტის მიზანი იყო, სათემო კავშირ `იმედი`-ს ბაზაზე შესაბამისი ცოდნით, უნარ-ჩვევებითა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საზოგადოებრივი სათათბიროს ჩამოყალიბება, რომელიც უნდა გახდეს შემაკავშირებელი მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის, უნდა შეავსოს, სრულყოს და გააქტიუროს დღეისათვის არსებული თვითმმართველობა.

პროექტის ფარგლებში ახლად შექმნილი სათათბიროს სრულყოფისა და მიზანმიმართულად წარმართვისათვის ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული გამოცდილი და წარმატებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებთანაც გვაკავშირებს პარტნიორული ურთიერთობები, საკუთარი რესურსებით უსასყიდლოდ დაგვეხმარნენ პროექტის განხორციელების გრაფიკით გათვალისწინებული აქტივობების

ჩატარებისას, რაც გამოიხატა საზოგადოებრივი სათათბიროსათვის ამ ორგანიზაციების გამოცდილებისა და კომპეტენციის შესაბამისი ტრენინგ-სემინარების ჩატარებასა და დებატების წარმართვაში.

საზოგადოებრივი სათათბიროს ფუნქციონირებისათვის შესაბამისი გარემოსა და პირობების შესაქმნელად რემონტი ჩაუტარდა სათათბიროს ოთახს, შეძენილ იქნა მრგვალი მაგიდა სკამებით, ციფრული ფოტოაპარატი, პროექტორი ეკრანით, საკანცელარიო მასალები, პრინტერი, კომპიუტერები ინტერნეტში ჩართვით, რომლებიც სათათბიროს საჭიროებების პარალელურად შესაძლებელს გახდიან თემში კომპიუტერული სწავლების კურსების ამოქმედებას.

პროექტის განხორციელებით მოხდა ქმედითუნარიანი სათათბიროს ჩამოყალიბება. შეძენილი ცოდნისა და უნარჩვევების გამოყენებით წევრები შეძლებენ ნათლად წარმოაჩინონ პრობლემა, მოახდინონ მის ირგვლივ ყველა საჭირო ინფორმაციის შეგროვება და გაცვლა მოსახლეობასთან თავთავიანთ უბნებში, ჯანსაღი დებატების გამართვით და არგუმენტირებული დასაბუთებით შეძლებენ თემისთვის ყველაზე სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებას. ერთად გაერთიანებულები ირწმუნებენ რა საკუთარ შესაძლებლობებს გადაწყვეტილების მიღებაში, უფრო მეტად მოტივირებულნი გახდებიან აიღონ პასუხისმგებლობა მათ მიერ მხარდაჭერილი პროექტებისა და საქმიანობების წარმატებით შესრულებაზე, იზრუნონ რომ მოიძიონ მხარდაჭერები, შექმნან პრობლემის გადაჭრით დაინტერესებულ პირთა ჯგუფები, შეძლონ ჩასატარებელი საქმიანობების მართვა.

ინტერნეტისა და კომპიუტერების გამოყენების შესწავლით დაინტერესებულ პირებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ ახალ ტექნოლოგიებს, თავადვე მოიძიონ, შეადგინონ პროექტები და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში, იზრუნონ ადგილზე არსებული პრობლემების საკუთარი ძალებით მოგვარებაზე, დაეუფლონ საკუთარი თავის, სოფლის, ქალაქის, შეძლებისდაგვარად ქვეყნის მართვის ხელოვნების საფუძვლებს.

სწორედ ამ ურთიერთობებში შეასრულებს საზოგადოებრივი სათათბირო თემის გააქტიურების, მოსახლეობის მობილიზების, თვითმმართველობის სრულყოფის ფუნქციას, სადაც აქტიურ მოსახლეობას ექნება საშუალება თქვას: `თვითმმართველობა – ეს ჩვენ ვართ`. გარდა ზემოთმოყვანილი საკითხებისა საზოგადოებრივი სათათბიროს მსჯელობისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების საგანი იქნება 2011 წელს ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის დახმარებით შემუშავებული ჩვენი სოფლის განვითარების სტრატეგიური მიმართულებებით გათვალისწინებული საქმიანობები.

გვაქვს ჯანსაღი ამბიცია იმისა, რომ ჩვენს სოფელში შექმნილი სათათბირო გახდება დღეისათვის სოფლად არსებული თვითმმართველობის შემავსებელი რგოლი და იქნება სანიმუშო სხვა თემებში ადგილობრივი თვითმმართველობის გაჯანსაღებით დაინტერესებულ პირთა ჯგუფთათვის. ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასაც მიეცემა საშუალება გაიზიაროს გამოცდილება და უფრო მეტად იზრუნოს შესაბამის თემებში სამოქალაქო თანამონაწილეობით დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღების სრულყოფაზე.

I-011

ორგანიზაცია: საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტი

პროექტი: 2013 წლის მოწვევის საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტი

2013 წლის მოწვევის საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის პროგრამის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა შეხვედრები საზოგადოებასთან - რეგიონული ვიზიტები. მოგეხსენებათ, დღესდღეობით საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება ნაკლებად არის ჩართული საქართველოში მიმდინარე სოცალური, თუ პოლიტიკური პროცესების შეფასებაში და დისკუსიაში. დემოკრატიული საზოგადოების მთავარი მახასიათებელი კი სწორედ მიმდინარე სოციალურ თუ პოლიტიკურ პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის მაღალი ხარისხია, რაც წარმოადგენს წინაპირობას იმისათვის, რომ მოხდეს ძალაუფლების საწყისების გადანაცვლება ქვევით და ძალაუფლების წყარო სწორედ სამოქალაქო საზოგადოება გახდეს. აღნიშნული პრობლემა საჭიროებს გარემოს გაძლიერებას, რომელიც მისცემს საშუალებას სამოქალაქო საზოგადოებას დააფიქსიროს თავისუფალი, არგუმენტირებული მოსაზრებები ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგში დააყენოს რეგიონებში არსებული პრობლემები და მოახდინოს მათი ინიცირება სახელისუფლებო დონეზე.

2013 წლის მოწვევის საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის, რეგიონული ვიზიტების მთავარი მიზანი იყო მომხდარიყო პლათფორმის ფორმირება, რომელიც იქნებოდა ინსტრუმენტი საზოგადოებისათვის, რათა მომხდარიყო საზოგადოებაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, დღის წესრიგში დაყენება და მისი საზოგადოებისთვის მისაღები გადაჭრის გზების მიწოდება შესაბამისი ორგანოებისადმი. აღნიშნული პროცესი

უმნიშვნელოვანესია, რათა საზოგადოების მხრიდან არსებული სიტუაციისა და პრობლემატიკის შესახებ ადეკვატური ინფორმაციის მიწოდების გზით სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის, მოხდეს სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ასახვა საზოგადოების კეთილდღეობაზე. პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა კანონშემოქმედებით საქმიანობაში და მათთვის სადისკუსიო პლატფორმის შექმნა, რომელიც შექმნიდა შესაძლებლობას გათვალისწინებული ყოფილიყო მათი ინტერესი საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

პროექტის განხორციელების შედეგად 2013 წლის მანძილზე მიმდინარეობდა ახალგაზრდული პარლამენტის პოზიციის დაფიქსირება ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე. ახალგაზრდული პარლამენტის საქმიანობა და პოზიცია იყო საჯარო და საზოგადოების ყველა ფენას ეძლეოდა საშუალება მიეღო უშუალო მონაწილეობა/ინფორმაცია ახალგაზრდული პარლამენტის პოზიციასთან დაკავშირებით კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებაში. ერთი წლის მანძილზე ხდებოდა საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება და მიწოდება პარლამენტისათვის, რომელიც ქმნიდა ინსტრუმენტს, გათვალისწინებული ყოფილიყო სამოქალაქო საზოგადოების ინტერესები სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ. აღნიშნულ პროცესში ჩართულები იყვნენ 2013 წლის მოწვევის ახალგაზრდული პარლამენტის წევრები და მასთან არსებული ინსტიტუტები, როგორცაა მრჩეველთა კოლეგია და ექსპერტთა საბჭო. ინიციატივების შემუშავება და განხილვა ხდებოდა საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობით და უშუალოთ მათ პრობლემებზე დაკვირვებითა და შესწავლით, რომელიც ეყდნობოდა რეგიონული ვიზიტების დროს წამოჭრილ და განხილულ საკითხებს. პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნა პლატფორმა, რომელმაც საშუალება მისცა სამოქალაქო საზოგადოებას, მიეღო მონაწილეობა დისკუსიებში, გამოეხატა აზრი, შეეძინა მისი აზრისა და პოზიციისათვის ძალა, ინიციატივებისა და რეკომენდაციების შემუშავებისა და შესაბამისი ინსტიტუტებისთვის მიწოდების თვალსაზრისით. აღნიშნული პროცესის შედეგად, კი მოხდა სამოქალაქო საზოგადოების ინტერესის გათვალისწინების ხელშეწყობა საკანონმდებლო და საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში. რაც თავის მხრივ ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დანერგვას და განვითარებას ქვეყანაში.

2013 წლის მოწვევის საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის პროგრამის ფარგლებში მოეწყო 20 შეხვედრა საქართველოს 10 რეგიონში. შეხვედრის მონაწილეებს ძირითადად წარმოადგენდნენ ადგილობრივ დონეზე მცხოვრები ახალგაზრდები. შეხვედრების დროს ხდებოდა მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების კვლევა, იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის მექანიზმებზე მსჯელობა. აგრეთვე, ახალგაზრდებს ეძლეოდათ საშუალება გამოეთქვათ ინიციატივები, რომელთა გაჟღერებაც სურდათ სახელისუფლებო დონეზე. აღნიშნული მექანიზმით საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტი ასრულებდა ერთგვარ მედიატორის როლს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. რეგიონებში გამოკვეთილი პრობლემების ინიციატივებად გარდაქმნის პარალელურად, ხდებოდა ამ პრობლემების გაჟღერება სამთავრობო დონეზე, მათ შორის შეხვედრაზე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან. თითოეულ რეგიონში ვიზიტის შემდგომ

ხდებოდა ადგილობრივი პრობლემების ასახვა ანგარიშებში, თითოეული მუნიციპალიტეტი გამოირჩეოდა სპეციფიური პრობლემებით, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ საბოლოო ანგარიშში მოხდა რეგიონებისათვის საერთო პრობლემების დაჯგუფება, რომელიც უფრო კონკრეტულად შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ. თითოეული რეგიონის აღწერაში მოცემულია შეხვედრის დროს გამოკვეთილი 2 ძირითადი პრობლემა.

აქტუალური საკითხები რეგიონების მიხედვით

კახეთი: კახეთის რეგიონში სტუმრობისას შეხვედრის მონაწილეებმა ძირითადი აქცენტი გააკეთეს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული ღონისძიებების ნაკლებობის თაობაზე, აგრეთვე ისაუბრეს ახალგაზრდების გადინებაზე რეგიონიდან და ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი განათლებისა, თუ დასაქმების შესაძლებლობებზე.

შიდა ქართლი: შიდა ქართლში შეხვედრისას ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ განათლება არის ერთერთი ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა. საკითხი აქტუალურია როგორც დაწყებით კლასის საფეხურებზე ასევე უმაღლეს განათლებაშიც. მათი აზრით, ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა, აღნიშნულ სფეროში მომუშავე ორგანიზაციების და შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების გააქტიურება და იმ პრობლემებზე მუშაობა, რომელიც არსებობს. ახალგაზრდებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს ჯანდაცვაზე. მათი აზრით, საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჯანდაცვით უზრუნველყოფა, ის საქართველოში ძალიან დაბალ დონეზეა განვითარებული, გარდა ამისა მედიკამენტებზე ხელმიუწვდომლობა უდიდეს პრობლემას წარმოადგენს. ისინი აღნიშნავენ, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გატარებული რეფორმებისა, ჯანდაცვის სისტემას სჭირდება დახვეწა.

სამეგრელო-ზემო სვანეთი: სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შეხვედრებისას ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ დასაქმება მათთვის მეტად პრობლემატურია. მათი აზრი გაიზიარეს და ერთხმად დაეთანხმნენ მოსწავლეები და აბიტურიენტები. გარდა იმისა, რომ რეგიონში სამუშაო ადგილების რაოდენობაა გასაზრდელი, ახალგაზრდობამ ისაუბრა ისეთ პრობლემებზე, როგორცაა უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეწყობის არარსებობა. ამასთანავე, ახალგაზრდებმა ყურადღება გაამახვილეს ხარისხიანი განათლების საკითხზე, ითქვა რომ სკოლამდელი აღზრდის საფეხური ერთიან სისტემაშია მოსაყვანი და ძალზედ მისახედა, ვინაიდან ის მეტად მნიშვნელოვანია. სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები მოიცავს: წიგნების გამოცვლის პროცესს და შედეგად გამოწვეულ პრობლემებს, სასწავლო პროცესის ცუდ დაგეგმარებას, მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას, ინფრასტრუქტურას.

რაჭა-ლეჩხუმი: რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში შეხვედრისას ახალგაზრდებმა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად გამოყვეს ტურიზმის განვითარების საკითხი და აგრეთვე სოფლის მეორეობის, როგორც რეგიონისათვის წამყვანი დარგის განვითარების საკითხი.

იმერეთი: იმერეთის რეგიონში შეხვედრების დროს ახალგაზრდებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ 2 პრობლემაზე: 1) დისკრიმინაციისა და დევნისაგან თავისუფლება. შეკრებილი ახალგაზრდები ფიქრობდნენ რომ ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი და ერთგვარად განმსაზღვრელი

დემოკრატიულობისა. ახალგაზრდების აზრით სახელმწიფომ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ ერთობლივად იმაზე რომ მსგავს ფაქტებს ადგილი არ ჰქონდეს. 2) იმ პირთა მხარდაჭერა, ვისაც მუშაობა არ შეუძლია. პრობლემა მდგომარეობს შემდეგში, პირს შესაძლოა ფიზიკური მდგომარეობის გამო არ შეეძლოს მუშაობა. სახელმწიფომ უნდა მისცეს დახმარება იმ პირებს, რომელთაც არც ფიზიკურად და არც გონებრივად არ შეუძლია მუშაობა. პრობლემები იკვეთება ინფრასტრუქტურის კუთხითაც, არ არის სათანადო პანდუსები მოწყობილი. პრობლემის გადაწყვეტაში დიდი როლი ეკისრება აღმასრულებელი ხელისუფლები ყველა რგოლს.

მცხეთა-მთიანეთი: რეგიონში შეხვედრის დროს ახალგაზრდები შეეხნენ საშუალო განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებს, განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს ე.წ. პილოტირებული სისტემისა და სკოლაში გამოყენებადი წიგნების უარყოფით მხარეებს, მასწავლებლების პროფესიონალიზმის ნაკლებობას და თანამდროვე სტანდარტებით სწავლების ნაკლებობას; გარდა ამისა, აღნიშნეს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებული პროგრამებისა თუ პროექტების შესახებ ნაკლებად მიეწოდებათ ინფორმაცია; საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებულ პრობლემებს ძირითადად სკოლაში არსებული დაუხვეწავი სისტემა იწვევს, ხოლო არსებული მდგომარეობის გამოსწორება მათი თქმით მხოლოდ მთავრობას შეუძლია. გარდა ამისა, გამოიკვეთა მეორე რპობლემა, რომელიც შეეხება სამუშაო ადგილების გაზრდას: მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ადგილობრივ სტრუქტურაში მოკლევადიანი დასაქმების პროგრამების შექმნა, სტუდენტების დასაქმება პროფესიის მიხედვით, ფაბრიკა-ქარხნების გახსნა, უცხოელი მუშახელის მაგივრად ქართველი და ადგილობრივი მცხოვრებლების დასაქმება. პროფესიული სასწავლებლების გზით კადრების გადამზადება სხვადხვა სფეროში; სამეურნეო დარგების განვითარება და შიდა ბაზარზე პროდუქციის გატანის შესაძლებლობის შექმნა, რაც თავისთავად გაზრდის თვითდასაქმების შესაძლებლობას და უმუშევართა რიცხვს შეამცირებს.

სამცხე-ჯავახეთი: რეგიონში შეხვედრებისას ახალგაზრდებმა გამოყვეს ორი ძირითადი პრობლემა, რომელიც შეეხებოდა ჯანდაცვისა და განათლების საკითხებს. ქალაქსა და რეგიონში ჯანდაცვის პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას. მოსახლეობას მიაჩნია, რომ აუცილებელია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გზების შეკეთება და კადრების გადამზადება. ისინი ფიქრობენ, რომ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით, ახალი საავადმყოფოების გახსნით და ახალი სასწრაფო სამედიცინო მანქანების დახმარებით შეძლებენ უმოკლეს დროში დახმარების აღმოჩენას ავადმყოფისთვის. ახალგაზრდებს ასევე ძალიან აწუხებთ ხარისხიანი განათლების პრობლემა, რეგიონში ამ მხრივ დეფიციტია. მათ რომ აუცილებელია სახელმწიფოსგან ხელშეწყობა, რათა განათლების მიღება წახალისდეს, სწავლის საფასური გაიზარდოს ალტერნატიული დაფინანსების წყაროებთან ერთად. ამაში მოიაზრება საგრანტო პროგრამები, რომელთაც არა სახელმწიფო, არამედ უნივერსიტეტი დააფინანსებს.

გური: გურიის რეგიონში გამოიყო შემდეგი პრობლემური საკითხები: სამუშაო ადგილების გაზრდა და ძალადობის საკითხები. ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ არასაკმარისი სამუშაო ადგილები ერთ-ერთი დიდი პრობლემაა ქვეყნისათვის. მათ ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ეს საკითხი უფრო მწვავედ დგას

რეგიონებში. ამის გამო ადგილი აქვს მიგრაციას. ახალგაზრდები ასევე მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში უნდა იყოს უსაფრთხოების განცდა. თითოეული მოქალაქე დაცული უნდა იყოს სექსუალური, ოჯახური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან. უნდა არსებობდეს სისტემა, რომელიც ეფექტურად შეძლებს აღნიშნულის მიღწევას.

ქვემო ქართლი: ქვემო ქართლის რეგიონში შეხვედრების დროს გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემა, ახალგაზრდები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო რომ ქალაქში აღარ ფუნქციონირებს თეატრი და კინო, რომელიც რამდენიმე წელია უკვე დაიხურა, ისინი ითვალისწინებენ იმ წინაპირობებს, რის გამოც აღარ ფუნქციონირებს რუსთავის კინო, თუმცა მიაჩნიათ, რომ რუსთავი არის საქართველოს ერთ-ერთი დიდი ქალაქი, და რუსთაველი ახალგაზრდები თბილისში არ უნდა მიდიოდნენ ფილმის სანახავად. ახალგაზრდები შეწუხებულნი არიან იმითაც, რომ რუსთავის არცერთი პარკი არ არის სრულყოფილად მოწყობილი სადაც სადამოს სასიამოვნოდ გატარებას მოახერხებენ. აპროტესტებენ დაუმთავრებელ პარკებს, ასევე მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მშენებლობის შეჩერებას. მათი აზრით, ქალაქში ხშირად უნდა ეწყობოდეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რათა გამოცოცხლდეს ქალაქი და აქტიური გახდეს მოსახლეობა. შემდგომი პრობლემა მათი აზრით ეს არის დასაქმების პრობლემა, ახალგაზრდებს მიაჩნიათ, რომ უმუშევრობის პრობლემა ქალაქში ყველა ასაკობრივ კატეგორიას ეხება, თუმცა განსაკუთრებით სტუდენტებს, რუსთავში თითქმის არ არსებობს სტუდენტური სამუშაოები, არც სტაჟირებები ცხადდება. საჯარო სამსახურში უპირატესობა, თბილისელ კადრებს ენიჭება, კერძო სექტორში კი თითქმის ყველა მსხვილი ობიექტი უცხოელებზეა გასხვისებული და შესაბამისად რუსთაველებისთვის აქ სამუშაო არ მოიძებნება.

აჭარა: აჭარის რეგიონში სტუმრობისას ახალგაზრდებმა გამოყვეს 3 ძირითადი რპობლემა, რომლებიც შეეხებოდა ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდას ადგილობრივ დონეზე, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას და ტურიზმის განვითარების საკითხებს რეგიონში.

რეგიონული ვიზიტების დროს მოდა იმ საერთო პრობლემების გამოკვეთა, რომელიც ახალგაზრდებს ყველაზე მეტად აწუხებთ, შედეგების მიხედვით პირველი უმთავრესი პრობლემა, რომელიც 20 ქალაქიდან 16 ქალაქში დასახელდა არის **განათლება**, შემდეგი პრობლემა გახლავთ **სამუშაო ადგილების გაზრდა** და მესამე, **ჯანდაცვის საკითხები**. აღნიშნული სამი ძირითადი პრობლემის გარდა ახალგაზრდები აგრეთვე შეეხნენ სხვა მნიშვნელოვან, რეგიონისათვის სპეციფიურ საკითხებს, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი.

I-012

ორგანიზაცია: სამოქალაქო ჟურნალისტიკის კლუბი

პროექტი: მე, რეპორტიორი რეგიონში

სააგნარიშო პერიოდი მოიცავს 2013 წლის აპრილი–დეკემბრის მონაკვეთს. პროექტი „მე, რეპორტიორი რეგიონში“-ს ფარგლებში რეგიონებში მოძიებულ მოქალაქე ჟურნალისტებს უნდა გაეშუქებინათ საკუთარ რეგიონში მომხდარი ამბები. ამ პერიოდში პროექტში ჩართული იყო 20 მოქალაქე ჟურნალისტი.

ისინი ჩართულები იყვნენ შემდეგ ქალაქებიდან: ბათუმი, ქობულეთი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ზუგდიდი, ქუთაისი, ზესტაფონი, მცხეთა, გორი, გორის საზღვრისპირა სოფლები, ახალციხე, რუსთავი.

პროექტის ფარგლებში, დაიწერა 771 პოსტი.

ავგისტოს თვეში აქცენტი გავაკეთეთ კონფლიქტის ზონაზე და გამოვაცხადეთ კონკური იმ მოქალაქე ჟურნალისტებისთვის ვინც კონფლიქტის ზონაში ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ პროექტით ეს არ იყო გათვალისწინებული, მუშაობის პერიოდში მიღებულმა სურათმა დაგვანახა, რომ საგანგაშო სიტუაციების გარდა მაგ. ვინმეს გატაცების ან საზღრის გადმოწევის, ამ საზღვრისპირა სოფლებიდან ინფორმაციის ნაკლებობა იგრძნობოდა ონლაინ მედიაში. კონკურსის შემდეგ ჩვენ, შეარჩიეთ ორი ადამიანი. ახლა, ისინი წერენ პოსტებს საზღვრისპირა სოფლებში: დვანში, დიციში და ერგნეთში არსებულ სოციალურ პრობლემებზე.

ოქტომბრის თქვეში ჩვენი ერთი ავტორის ტაო–კლარჯეთში მოგზაურობის შედეგად, გადავწყვიტეთ, რომ მკითხველის ყურადღება ამ თემებითაც მიგვექცია. ამისთვის გავაკეთეთ ბლოგზე ბანერი და მოვუწოდეთ

მკითხველს ვირთუალრი მოგზაურობა ტაო-კლარჯეთი, 16 ძეგლის დასატვარიელებლად და მათი ისტორიის გასაცნობად.

წარმატების ისტორიები

1. 5 აგვისტოს გამოქვეყნედა პოსტი „ქუთაისში გველები მომრავლდნენ“, სადაც საუბარი იყო ქუთაისში, სოლომონ მეფის ქუჩაზე მდებარე მოუვლელ სკვერზე, რომლის მოვლის უზრუნველყოფაც მერიას ეხებოდა. მასალის გამოქვეყნებიდან 2 დღეში კეთილმოწყობის სამსახურმა სკვერი დაასუფთავა.
2. ოლივო ცისკარიშვილის სტატიამ „მუყაოს ოცნების ქალაქმა“ სიდას მიერ ორგანიზებულ კონკურსზე პირველი ადგილი მოიპოვა.
3. 12 აგვისტოს გამოქვეყნებულმა პოსტმა „ქალი რომელსაც 21 წელია ფეხზე არ გაუვლია და ბინაში ტუალეტიც არა აქვს“ მოქალაქეებს ქალბატონის დახმარების სურვილი გააუჩნია. ჩვენ ისინი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციას „საზოგადოებრივი მონიტორინგისა და კვლევის ცენტრს“ დავაკავშირეთ. მასალა, ასევე საინტერესო აღმოჩნდა“ გენდერული საინფორმაციო პორტალისთვის.“
4. ჩვენ პირველები ვიყავით, ვინც სვეტიცხოვლის ეზოში დამბულ ბელებზე და შვლებზე გამოვაქვეყნეთ ვიდეო, რაც საკმაოდ რეზონანსული აღმოჩნდა. ასევე, გავაგრძელეთ უკანონოდ დატყვევებულ დათვებზე მუშაობა და მივმართეთ გარემოს დაცვის სამინისტროსაც. რამდენიმე კვირაში სამინისტროდან მოგვივიდა პასუხი, რომ ქობულეთში ფოტოების გადასაღებად სანაპიროზე მოსიარულე დათვი მის ე.წ პატრონს ჩამოართვეს და ბათუმის ზოოპარკში გადაიყვანეს. რაც შეეხება სვეტიცხოვლის ბელებს, მათ სამწუხაროდ ვერ ვუშველეთ, რადგანაც მასალის გამოქვეყნებიდან 10 დღეში მისულებს ტამრის პერსონალმა გვითხრა, რომა ატეხილი ხმაურის გამო, ისინი სხვა მონასტერში გადაიყვანეს.
5. დავაკავშირდა უნარშეზღუდულთა სკოლა-პანსიონატის დირექტორი და გვთხოვა, რომ დავეწერა მართ პრობლემებზე. პანსიონატის შენობაში დევნილები და სოციალურად დაუცველები შეიჭრნენ, ამის გამო შშმ პირებს მეცადინეობა დირექტორის ბინაში უწევთ. მასალის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში დირექტორმა გვამცნო, რომ სიუჟეტის მოსამზადებლად „მოამბე“ დაუკავშირდა. აღნიშნული სიუჟეტი 13 სექტემბრის 20:00 საათიან „მოამბეში“ გავიდა.

II-001

ორგანიზაცია: გრუზია ონლაინ

პროექტი: საქართველო რუსულენოვანი მკითხველისათვის

მოგახსენებთ, რომ პროექტ "საქართველო რუსულენოვანი მკითხველისათვის" ფარგლებში, რომელიც 2013 წლის 1 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს, შედეგების მიხედვით შესრულებული სამუშაოები ასე გამოიყურება:

1	დასახელება	ნიუსები	სტატიები და ინტერვიუ
2	Грузия online	15 500	66
3	Наша Абхазия	875	31
4	Кавказ Online	7120	95
5	ჯამი	23 495	192

შემოსვლების რაოდენობა

1	დასახელება	ვიზიტორთა რაოდენობა	შემოსული ქვეყნების რაოდენობა
2	Грузия online	5 404 542	202
3	Наша Абхазия	458 710	155

4	Кавказ Online	531 068	152
---	---------------	---------	-----

Наша Абхазия ვიზტორთა პირველი ათეული ქვეყნების მიხედვით

1.	Russia	263 557
2.	Georgia	89 128
3.	(not set)	30 141
4.	Ukraine	24 259
5.	United States	8 549
6.	Kazakhstan	5 464
7.	Belarus	5 355
8.	Germany	5 178
9.	Israel	3 025
10.	Greece	3 021

Грузия online ვიზტორთა პირველი ათეული ქვეყნების მიხედვით

1.	Russia	2 508 224
2.	Georgia	1 410 674
3.	Ukraine	289 843
4.	United States	218 916

5.	(not set)	204 074
6.	Germany	91 855
7.	Belarus	64 304
8.	Israel	61 445
9.	Kazakhstan	61 172
10.	Azerbaijan	58 380

Кавказ Online ვებტორთა პირველი ათეული ქვეყნების მიხედვით

1.	Russia	319 679
2.	Georgia	50 164
3.	(not set)	44 156
4.	Ukraine	24 332
5.	Azerbaijan	20 489
6.	Armenia	20 306
7.	Kazakhstan	9 727
8.	United States	8 663
9.	Germany	6 105
10.	Belarus	5 481

II-002

ორგანიზაცია: Nova Sicietas

პროექტი: ანტილიბერალური დისკურსი და სიძულვილის ენა თანამედროვე ქართულ მედიაში

წინამდებარე დოკუმენტი გახლავთ ააიპ Nova Societas-ის მიერ განხორციელებული პროექტის „ანტილიბერალური დისკურსი და სიძულვილის ენა თანამედროვე ქართულ მედიაში“ ანგარიში.

პროექტი დაფინანსებული იყო „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის“ მიერ. მისი მთლიანი ბიუჯეტი გახლდათ 29,900 GEL. პროექტი ხორციელდებოდა 2013 წლის მაისიდან 2013 წლის დეკემბრამდე.

პროექტის ავტორები მადლობას უხდებიან ბატონ გიგა ზედანიასა და ბატონ სერგო რატიანს, რომელთაც გაგვიწიეს რეკომენდაცია პროექტის საწყის ეტაპზე. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ბატონ ავთანდილ ჯოხაძეს და ქალბატონ დანი თაბუკაშვილს, რომლებიც პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე მხარს გვიჭერდნენ.

აღსანიშნავია, რომ პროექტი „ანტილიბერალური დისკურსი და სიძულვილის ენა თანამედროვე ქართულ მედიაში“ პირველია Nova Societas-ის მიერ განხორციელებულთაგან. ორგანიზაცია 2012 წლის ზაფხულში შეიქმნა და მისი დამფუძნებლები გახლავართ: ემზარ ჯგერენაია, გიორგი კეკელიძე, გიორგი კილაძე, კაკი კენჭოშვილი და გიორგი საბანაძე.

1. პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები

ა) პროექტის ამოცანათაგან ერთ-ერთი უმთავრესი გახლდათ საქართველოს ბეჭდური მედიის დამუშავება და მასში სიძულვილის ენის ელემენტების გამოკვეთა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ოთხმა მკვლევარმა ორი ექსპერტის მეთვალყურეობის ქვეშ დაამუშავა შემდეგი გამოცემები:

- გაზეთი „ალია“ – იანვარი - დეკემბერი, 2012. მარტი, მაისი - ივნისი, 2013
- ჟურნალი „ღია ბოქლომი“ – იანვარი - დეკემბერი, 2011

- გაზეთი „კვირის პალიტრა“ – იანვარი - აპრილი, 2012
- გაზეთი „ქრონიკა +“ – იანვარი - აპრილი, 2013
- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ – იანვარი - აპრილი, 2012
- გაზეთი „ასავალ-დასავალი“ – იანვარი - დეკემბერი, 2012; იანვარი - თებერვალი, 2013
- გაზეთი „ქრონიკა“ – იანვარი - აპრილი, 2013
- გაზეთი „რეზონანსი“ – იანვარი - აპრილი, 2012
- გაზეთი „პრაიმ ტაიმი“ – იანვარი, 2012
- გაზეთი „ყველა სიახლე“ - იანვარი, 2012

ბ) საქართველოს მედიაში სიძულვილის ენაზე დისკუსიის წახალისების მიზნით Nova Societas-მა მოამზადა ერთი საჯარო დისკუსია სიძულვილის ენაზე და 11 საჯარო ლექცია:

- დისკუსია სიძულვილის ენაზე. მონაწილეობდნენ თამარ ჩერგოლეიშვილი („ტაბულა“), ნინო ბექიშვილი („ლიბერალი“), თამარ რუხაძე (საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტია), მოდერატორი - გიორგი საბანაძე (Nova Societas).
- საჯარო ლექცია „სიძულვილის ენის რეგულირება“. ვახუშტი მენაბდე
- საჯარო ლექცია „ფაშისტური იტალიის სიძულვილის ენა“. ნოდარ ლადარია
- საჯარო ლექცია „მისოგონისტური გამონათქვამები და გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში“. ლელა გაფრინდაშვილი
- საჯარო ლექცია „სიძულვილის ენა ანტიკურ სამყაროში“. ლევან ბერძენიშვილი
- საჯარო ლექცია „მსოფლიო საკანონმდებლო პრაქტიკა და სიძულვილის ენა“. ლელა ბუცხრიკიძე
- საჯარო ლექცია „სიძულვილის ენა ნაცისტურ გერმანიაში“ კაკი კენჭოშვილი
- საჯარო ლექცია „სიძულვილის ენა ოცდაათიანი წლების საბჭოთა საქართველოს პრესაში“. გიორგი კეკელიძე
- საჯარო ლექცია „სიძულვილის ენა ქართულ ლიტერატურაში“. გიორგი კეკელიძე
- საჯარო ლექცია „რელიგიური შეუწყნარებლობა და სიძულვილის ენა ქართულ მედიაში“. ბექა მინდიაშვილი
- საჯარო ლექცია „თანამედროვე ქართული მედია და მედიაეთიკა“. ია ანთაძე
- საჯარო ლექცია „სიძულვილის ენა - სად არის გამოსავალი?“. სოფიო ხორგუანი

გ) ყველა საჯარო ლექცია ჩაწერილია და განთავსებულია Nova Societas-ის youtube-ის ოფიციალურ გვერდსა და ოფიციალურ ვებგვერდზე, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში მომზადდა. მისი მისამართია www.ns.org.ge. მუდმივად მიმდინარეობდა ღონისძიებების ფოტოგადაღება.

დ) პროექტის შედეგად მომზადდა ორენოვანი გამოცემა, რომელშიც თავი მოიყარა სიძულვილის ენის შემცველმა გამონათქვამებმა, რომლებიც მკვლევართა გუნდმა ქართულ მედიაში აღმოაჩინა.

გვაქვს იმედი, რომ აღნიშნული ელექტრონული გამოცემა სასარგებლო იქნება ქართული მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის.

პროექტის ავტორებსა და ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ პროექტმა მის წინაშე დასახულ მიზანს - საზოგადოებრივი დისკურსის წამოწყება მასმედიით გავრცელებულ სიმულვილის ენაზე - მიაღწია. დისკუსია, საჯარო ლექციები და გამოცემა მუდმივად იქნება ძალიან მნიშვნელოვანი რესურსი მკვლევარებისა და ამ თემით დაინტერესებულთათვის.